დიდი მოურავის გ. სააკაძის გასამართლება

წარსულ კვირას სახალხო სახლში გაასამართლეს საქართველოს დიდებული პოლიტიკური მოღვაწე გიორგი სააკაძე; გასამართლებას საფუძვლად დაედვეს ა. ფურცელაძის დრამატული თხზულება „დიდი მოურავი“.

საზოგადოთ ჩვენ წინააღმდეგი ვართ ასეთი ლიტერატურულ „საღამოებისა და დილების“ გამართვისა, მაგრამ არ შეიძლება არ ითქვას, რომ მათ მნიშვნელობა აქვს მდაბიო ხალხისათვის, როდესაც, რასაკვირველია, თემა, რომელსაც ეხება გასამართლება, რაიმე დიდ კითხვას შეადგენს. ასეთი არის კითხვა: არის თუ არა დამნაშავე სამშობლო ერის წინაშე გ. სააკაძე; - ადამიანი, რომელიც დიდებულ მიზნის მისახწევად არა შესაფერ საშუალებათ ხმარობს; - დამნაშავენი არიან ისეთი გენიოსი-პოლიტიკოსები ისტორიის წინაშე, როგორიც არიან ალექსანდრე დიდი, იულიუს კეისარი, ნაპოლეონი, მარატი, რობესპიერი? ბრალმდებლებათ გამოვიდნენ ბ-ნნი კ. ჯაფარიძე და გრ. გიორგაძე. უკანასკნელმა შინაარსიანი სიტყვა წარმოსთქვა, მოიყვანა ბევრი ისტორიული ფაქტები, რომელნიც გ. სააკაძის წინააღმდეგ ღაღადებენ; მაგრამ სწორეთ ისტორიისათვის არ უნდა მიემართა ბ. გიორგაძეს, რადგან გასამართლება „ლიტერატურული“ იყო და რადგან მისი მოწინააღმდეგენი მხოლოდ ა. ფურცელაძის თხზულებით სარგებლობდენ.

ბ. კ. ჯაფარიძე თავის ბრალდებას ზოგად ცნება-წარმოდგენაზე ამყარებდა; ამიტომ რამდენად პირველი ორატორის სიტყვა ძლიერი და შინაარსიანი იყო, იმდენად მეორე ნაკლებ საფუძვლიანი გამოდგა. დამცველებმა მშვენიერი სიტყვები წარმოსთქვეს (ივ. გომართელმა და ი. მაჭავარიანმა). მათი აზრით ასეთი ძლიერი პიროვნების გასამართლება, როგორიც არის გ. სააკაძე **ისტორიული** თვალსაზრისით უნდა ხდებოდეს, იმ დიდებულ მიზნის მიხედვით, რომელიც მას დაუსახავს.

თუნდაც მართალიც იყოს ყველაფერი ის, რასაც ბრალმდებელნი ამბობდენ - გ. სააკაძის საშუალებანი ხომ დიად მიზანს ემსახურებოდნენ?

დიდ მოურავს აბრალებენ იმას, რომ თავის პირად ბედნიერებისთვის მან დააქცია მშრომელი ხალხის სისხლიო, პირადათ ხომ ის ბედნიერი იყო, რათ უნდოდა მას მეტი ბედნიერება? - ეს ტყუილია, დიდი მოურავი თავის სამშობლოს გაერთიანებას ემსახურებოდა და ამისათვის დაღვარა კიდეც სისხლი, ამ მიზანს შესწირა მან თავის შვილისა და თავის სიცოცხლე. ამისათვის უნდა დავსაჯოთ გ. სააკაძე - ეს გენიალური პოლიტიკური მოღვაწეო? - კითხულობდნენ დამცველები.

ნაფიცმა მსაჯულებმა გ. სააკაძე გაამართლეს, რასაც საზოგადოება მხურვალე ტაშის ცემით შეხვდა. დასასრულ უნდა ვთქვა, რომ **ისტორიული** პიროვნების გასამართლებას ლიტერატურული ხასიათი არ უნდა ჰქონდეს, სულ სხვა არის ისეთი ლეგენდარული პიროვნებანი, როგორც მაგ. ზეინაბი, ოთარბეგი და სხვა.

დიდი შეცდომაა „დღის“ გამმართველების მხრივ, რომ მათ, ბრალდება და დაცვა, არა ისტორიულ ფაქტებზე ააშენეს **საზოგადოთ;** ამიტომ გასამართლებამ მთლიანი შთაბეჭდილება არ დასტოვა და გ. სააკაძის პიროვნება გამოურკვეველი დარჩა.

ეს იქიდანაც სჩანს, რომ ხმის მიცემის დროს ნაფიც მსაჯულთა ხმები შუაზე გაიყო და მხოლოდ თავმჯდომარის ხმამ იხსნა დიდი მოურავი გამტყუნებისაგან.

მ. წ.

„თემი“, 1911, 14 ნოემბერი, N 45